სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №50

2010 წ. 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

2011 წლის 1 თებერვლიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების
შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20 თებერვლის №30 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ა", „ბ", „ბ[1]" და „გ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ", „ე" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის №01 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსი 2011 წლის 1 თებერვლიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით 2010 წლის 13 დეკემბერს.

2. დამტკიცდეს 2011 წელს მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები ამ ბრძანების დანართების შესაბამისად.

3. დაევალოს სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" (შემდგომში – ფონდი) ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის

საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ფონდის ვებ–გვერდზე: www.rustaveli.org.ge.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური